

K 18 383  
2

1945-1946  
1945-1946


၁၈-၃၈၃  
၂



არჩ. ჯანაშვილი

# ი ხ ე მ ი

6 1 6 0 3 8 1 8 0  
19 — თბილისი — 50





№ 2

639.111

Ահա. Հայոց պատմութեան

Ո Կ Ց Ա Ռ


K 48.383  
2



Ե Ա Խ Ո Ր Յ Ա Յ Ա Ծ

Ե Հ Ա Յ Ա Յ Ա Ծ

1950





କାହୁଙୁଲିକି ଗର୍ଜିମିଳ

## აღმართი

ჩვენი ტყეების სილამაზესა და სიმშეენიერეს წარმოადგენს ირემი. ტყის ცხოველებს შორის სილამაზეში ირემს ბადალი არა ჰყავს. ამ სილამაზეს აძლიერებს მისი მოგრძო თავი, ზევი, მსხვილი თვალებითა და მრავალშტოებიანი რქებით.

საქართველოს ფარგლებში ბინადრობს ირმის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ცნობილია კავკასიის ირმის (*Cervus elaphus maral* Ogilby) სახით.

ჩვენ წიგნაკში საუბარია მხოლოდ ამ ფორმის შესახებ.

ირემი საქართველოში გავრცელებულ ჩლიქოსანთა შორის ჯელაზე დიდი ზომისაა. დამიხასიათებელია მძლავრი აგებულების სხეული, რომელიც უკანა ნახევარში მეტი მასიურობით გამოირჩევა, ზომიერად გაგრძელებული და მობლაგვებული დინგი, გრძელი და განიერი, რამდენიმედ სამკუთხოვანი ყურები. რომელთა სიგრძე თავის საერთო სიგრძის ნახევარზე ნაკლებია. წინა კიდურები უკანაზე სუსტი და უფრო გამონაკვთულია. კიდურები მძლავრ კუნთოვანია. ჩლიქები რამდენიმედ წაგრძელებული, წინა ნაწილში წაწვეტებული და ერთიმეროვე მჭიდროდაა მიჯრილი. კუდი მოკლეა, მავრამ ბალნიანი საფარელიდან მკაფიოდ მოჩანს. ირემს საქმაოდ მძლავრი კისერი აქვს, იგი განსაკუთრებით მსხვილძარლვოვანი და სქელი აქვს ხარს.

კბილების ფორმულა ტიპიურია და ოჯახისათვის დამახასიათებელი რაოდენებით გამოიხატება. ირემს როგორც შვედა, ისე ზედა ყბაში უკითარდება ეშვი, თუმცა იგი სუსტადაა განვითარებული—მოკლე და წერილია.



რქები. ხარისხში<sup>1)</sup> ახასიათებს საკმაოდ დიდი ზომის, და  
მასიური რქები, რაც ცხოველის ასაკისა და ჯანმრთელობის  
მიხედვით მეტად ცვალებადობს. გრძელი და მრავალშტოიან  
ირემს ხშირად „რქაბუდიანს“ ან „ქორბუდას“ უწოდებენ  
ხოლმე. რქებზე შტოთა რაოდენობა თითოეულზე 2—8 ალწევს,  
ზოგჯერ შეიძლება იყოს მეტიც. შტოთა რაოდენობის მეტ-  
ნაკლებობა დამოკიდებულია ასაკზე: ახალგაზრდებს აქვს ნა-  
კლებშტოიანი, ხოლო ხანში შესულს უფრო მეტად დატოტი-  
ანებული რქები. უნდა იღინიშნოს, რომ ხალხში გავრცელე-  
ბული შეხედულება, თითქოს რქების შტოთა რაოდენობა  
ირმის ასაკს განსაზღვრავს, არაა სწორი. საყურადღებოა,  
რომ ზოგჯერ ირმის რქებზე, წინა წლებთან შედარებით,  
ნაკლები რაოდენობის შტო ვითარდება. ასე, მაგალითად,  
თბილისის ზოოპარკში მყოფ ერთ-ერთ ირემთაგანს რქებზე  
ჰქონდა 15 შტო (ერთზე 7 და მეორეზე 8), შემდეგ  
წელს იმავე ირემს ამოუციდა რქები 10 შტოიანი (ერთზე  
6 და მეორეზე 4). ხშირად, ხანში შესულ ინდივიდებს  
უფრო ნაკლებშტოიანი რქები უვითარდებათ, ვიდრე ზრდა  
დამთავრებულს. სიბერისას, ორგანიზმში ნივთიერებათა გაც-  
ვლა-გამოცვლის საერთო მოდუნების გამო რქებიც ვერ ვითარ-  
დება. ამგვარად შტოთა რაოდენობა არ განსაზღვრავს ირ-  
მის ასაკს. შტოთა საერთო რაოდენობის მიხედვით ირმის  
ასაკის განსაზღვრა რამდენიმედ შეიძლება გამართლებულ  
იქნეს მხოლოდ მოზარდ ფორმაში, ე. ი. პირველი 2—7 წლის  
განმავლობაში, როდესაც მიმდინარეობს რქების თანდათანო-  
ბითი ზრდა და დასრულება. კავკასიის ირმის რქებზე (ორი-  
ვეზე ერთად) ჩვეულებრივ ვითარდება 15—17 შტო (მხედვი-  
ლობაშია ზრდასრული ერთეულები). მაგრამ შესაძლებელია  
მათი რაოდენობა იყოს მეტიც. ასე მაგალითად, დინიკის

<sup>1)</sup> ფურირებს რქები არ უნივარდება. ირმებს შორის ამ მხრივ  
გამონაკლისია მხოლოდ ჩრდილოეთის ირემი (*Rangifer tarandus* L.), რომ-  
ლის ფურსაც რქები აქვთ.

(1910) გადმოცემით ჩრდილო კავკასიაში მოპოვებულია ირ-  
მის 23—24 შტოიანი რქები (ორივე ერთად) და შრტიტონები  
შემთხვევა აქვს აღნიშნული, როდესაც მოუპოვებიათ ჩრდილი  
36-შტოიანი რქები (ორივე რქაზე ერთად). ასეთი მრავალ-  
შტოიანი რქების მქონე ირემი საქართველოს ფარგლებისა-  
თვის არაა აღნიშნული. ირმის რქების (ორივე ერთად) წონა,  
ჩვეულებრივ, 3—8 კილოგრამამდე აღწევს (ეხება ზრდასრული  
ირმის რქებს). დინიქ (1910) აღნიშნული აქვს შემთხვევა,  
როდესაც ერთი წყვილი რქა (10 შტოიანი) იწონიდა 1,6  
კილოგრამს (4 გირვანქას), მაგრამ იგივე დინიქი (1910) მო-  
გვითხრობს შემთხვევას, როდესაც ერთი წყვილი 23 შტო-  
იანი რქა იწონიდა 18,4 კილოგრამს (45 გირვანქას). რასა-  
კვირეელია, როგორც ერთი, ისე მეორე უკიდურესი შემთხვე-  
ვა იშვიათ გამონაკლის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საყუ-  
რადლებოა, რომ ზოგჯერ შუა შტოს (ძირიდან მესამეს)  
ემჩნევა ხოლმე განშტოება. ამ მოვლენაზე მიუთითებენ თა-  
ვიანთ თხზულებებში სატუნინი (1900) და დინიქი (1910).  
ჩვენ საშუალება გვქონდა დავკვირვებოდით ასეთი განტოტი-  
ლი შტოს განვითარებასაც. თბილისის ზოოპარკში მყოფ  
ერთ-ერთმა ირემმა, როდესაც მას ჯერ კიდევ ნორჩი რქები  
ჰქონდა თავის სადგომში სირბილის დროს რქა (შუა შტო)  
გამოსდო ბაკის ლობეზე გაბმულ მავთულს, რამაც რქის ნორ-  
ჩი შტო წვეროდან ფუძემდე მთელ სიგრძეზე გადასჭრა. გან-  
კურნებული ასეთი შტო შემდეგში ორკაპად განვითარდა-  
ადვილი შესაძლებელია, რომ ბუნებრივ პირობებშიც ამ შტო-  
ზე დამატებითი შტოს არსებობა, ზოგ შემთხვევაში, მსგავსივე  
მიზეზებით იყოს გამოწვეული.


რქის სივრცე მერყეობს ცხოველის ასაკის მიხედვით. უკელაზე  
მძლავრი და სრულყოფილი რქები ირემს 6—12 წლის ასაკში  
უვითარდება. ზოგჯერ სიბერეში და აგრეთვე ავადმყოფობის  
შემთხვევაში ირემს. შედარებით ბშირად მოკლე რქები  
ამოსდის ხოლმე. რქების სიგრძე დინიქის (1910) გადმოცე-  
მით 99—122 სმ-მდე აღწევს. ჩვენი მასალების მიხედვით

ზრდასრული ირმის რქის სიგრძე 80—105 სმ-დეა. საყუ-  
რადლებოა, რომ ზოგჯერ მარჯვენა და მარცხენა რქა ერთიანი  
მეორისაგან განსხვავებული სიგრძისაა. ასე, მაგალითად,  
თბილისის ზოოპარკის ერთი ირმის მარჯვენა რქის სიგრძე  
75,5 სმ იყო, ხოლო მარცხენა — 82,0 სმ. სხვა წლებში ამავე  
ირემს რქები სხვაგვარი შეფარდებითი სიგრძისა უვითარ-  
დებოდა და წინააღმდეგ ზემოაღნიშნულისა მარჯვენა მარ-  
ცხენასა სკარბობდა სიგრძეში. ასევე მერყევია ირმის რქის  
გარშემოწერილობაც. დინიქს (1910) აღნიშნული აქვს რქის  
გარშემოწერილობა (ფუძესთან) 19—28 სმ-დე. ჩეენი მასალე-  
ბის მიხედვით კავკასიის ირმის რქის გარშემოწერილობა  
ფუძესთან აღწევს 17—25 სმ-დე. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ,  
რომ ერთი და იგივე ირმის მარჯვენა და მარცხენა რქის  
გარშემოწერილობა, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებულია  
ხოლმე. ასე, მაგალითად, თბილისის ზოოპარკის ერთ-ერთი  
ირმის მარჯვენა რქის გარშემოწერილობა ფუძესთან 17 სმ-ს  
აღწევდა, ხოლო მარცხენასი — 20 სმ-ს. ამ უკანასკნელის სიგრ-  
ძე კარბობდა პირველისას და მეტი მასიურობითაც ხასიათ-  
დებოდა. განსხვავებულია ხოლმე, უმეტეს შემთხვევაში, რქებზე  
შტოთა რაოდენობა, მათი სიგრძე და გარშემოწერილობა,  
რაც უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია მთავარი ლეროს  
სიგრძესა და მასიურობაზე.

ირემს ნორმალურ პირობებში რქები ყოველწლიურად  
ადრე გაზაფხულზე სცეივა. დინიქის (1910) გადმოცემით  
„ირმებს რქები სცეივათ ზამთრის ბოლოსა და გაზაფხულის  
დასაწყისში“. ექვთიმიშვილი (1946), როგორც ჩანს იშიარებს  
დინიქის ზემოაღნიშნულ ცნობას და აღნიშნავს, რომ „ბორ-  
ჯომის ნაკრძალის პირობებში კავკასიის ირემი ძველ რქებს  
იცვლის თებერვალში“. ამ დებულების მთლიანად გაზიარება  
ჩეენ არ შევვიძლია, რადგან არც ბუნებრივს და არც ტევი-  
ობის პირობებში ირმის რქების ჩამოცვენის პერიოდი არ  
შეიძლება მარტოლდენ თებერვლის თვით განისაზღვროს.  
დინიქის (1910) მიერ მოწოდებული ცნობაც კი, რომლის  
მიხედვითაც ირმის რქების ცვლა ზამთრის დამლევს ხდება,

ახალ სტილზე გადატანით მარტის პირველ ნახევრად ან  
 პირველ მესამედად უნდა ვივარაუდოთ, ყოველ შემთხვევაში  
 თებერვლის უკანასკნელ მეოთხედზე აღრე არ შეიძლება  
 მომხდარიყო. და ამგვარად წენ ვფიქრობთ, რომ ბორჯომის  
 ნაკრძალის პირობებშიც ისევე, როგორც თბილისის პირო-  
 ბებში, ირმის რქების ჩამოცვივნა უნდა ხდებოდეს მარტის  
 დასაწყისიდან, ვიდრე ამ თვის დამლევამდე. ირმის რქების  
 ჩამოცვივნის უფრო გადაჭარბებულ ნაადრევ პერიოდს ადგე-  
 ნენ ბობრინსკი, კუზნეცოვი და კუზიაკინი (1944), რომე-  
 ლთა მიხედვითაც „შეა ზამთარში ხარები რქებს იც-  
 ვლიან“. ასე გამოდის ამ ავტორთა თქმით, რომ ირმები  
 რქებს იანგარში იცვლიან. ყოველ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ  
 აგტორთ ამის თქმა უნდათ კეთილშობილი ირმის (Cervus  
*elaphus* L.) მიზართ, რაც ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია,  
 მისი გაზიარება არ შეიძლება კავკასიის ირმის მიმართ.  
 თბილისის ზოოპარკის პირობებში კავკასიის ირემზე მრავალი  
 წლის (1930—1949) განმავლობაში ჩატარებული დაკვირვების  
 საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კავკასიის ირმის  
 რქების ჩამოცვივნის პერიოდია 25 თებერვლიდან მარტის  
 დამლევამდე. რქების ჩამოცვივნის განსხვავებული ვადები  
 შესაძლებელია ასენილი იქნეს ცხოველის ფიზიკური მდგომა-  
 რეობით: ჯანმრთელობით, ავალმყოფობით. პირველი რქებს  
 იცვლიან უფრო ადრე, მეორენი უფრო გვიან. აქვე უნდა  
 აღვნიშნო, რომ თბილისის ზოოპარკში ერთ ირემს რქები  
 ჩამოსცვიდა აგვისტოს (1930) დამლევს. მიზეზი გამოურკვე-  
 ველი დარჩა, რქის პატრონი გარეგნულად ჯანმრთელი იყო.  
 საყურადღებოა, რომ იმ წელს ამ ირემს ხურაობა არ ჰქონია  
 და აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალი რქის ზრდა მას  
 დაეწყო მხოლოდ შემდეგი წლის მარტიდან და არა რქის  
 ჩამოცვივნისთანავე. შემდეგ წლებში ამ ირემს რქები ნორმა-  
 ლურად გაზაფხულზე სცვივოდა.

ირემს ორივე რქა ერთდროულად იშვიათად სცვივა. ხშირად  
 ერთი რქა მეორეზე 1 ან 2 საათით აღრე ვარდება. არის შემთხვე-  
 ვები, როდესაც მეორე რქა ფარდება მეორე ან მესამე დღეს,



შეიძლება 5 დღის შემდეგაც, ასე მაგალითად, ჩვენი დაცვისა ვებით, თბილისის ზოოპარკში ირემს რქები სცვივოდა 1,2, 5,6,7 დღის დაგვიანებით. ერთ ირემს მეორე რქა ჩამოვარდა მე-23-ე დღეს. საუზრადლებოა ისიც, რომ რქების ჩამოცვივის პირობებში და ამ პერიოდის მოახლოვებისას ირემი ერთდება კიდილს და რაიმეზე რქის მიხლას, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში რქებს მაინც იყენებს დაცვის მიზნით. ამ პერიოდში, თუ ირემს მოვკიდებთ მძლავრად ხელს რქებზე, იგი ძერება სრულიად უმტკიცნეულოდ (სისხლი არა სდის რქის ძირიდან). როდესაც ირემს ცალი რქა ჩამოვარდნილი აქვს, მაშინ მეორე რქის ჩამოვარდნა მდე თავი რამდენიმედ ასიმეტრიულად უკავათ ხოლმე.

ახალი რქის ზრდა იწყება ძველის ჩამოცვივის 2—3 დღის შემდეგ, მეშვიდე-მერვე დღეს უკვე ემჩნევა ახალი რქის ძირი, რომელიც ამობერილ პატარა, 2—3 სანტიმეტრის სიმაღლის, ბორცვს წარმოადგენს. ამ საკითხის ირგვლივ რამდენიმედ არასწორ მოსაზრებებს ვპოულობთ ზოგიერთი ავტორის გადმონაცემებში. ასე, მაგალითად, ექვთიმიშვილის (1946) მიხედვით კავკასიის ირემს „ახალი რქების ამოსვლა ეტყობა მარტის ბოლო რიცხვებიდან“ ამავე ავტორის გადმოცემით ირემს რქები თებერვალში სცვივა და „ამგვარად გამოდის, რომ ძველი რქის ჩამოცვივილან ახლის ამოსვლა მდებარებით ერთი თვე გადის. თითქმის მსგავსად ელნიშნავენ ბობრინსკი, კუზნეცოვი და კუზიაკინი (1944), რომ „ირმის რქის ზრდა ადრე გაზაფხულიდან იწყება“, რაც ავრეთვე გაუმართლებელი იქნება; თუ მივიღებთ მხედვილობაში, რომ აღნიშნულ ავტორთა გადმოცემით ირემს რქები შუა ზამთარში სცვივათ და ამგვარად ძველი რქების ჩამოცვივისა და ახლის ამოსვლის შორის ინტერვალი 1—1,5 თვეზე მეტია. თუმცა ის კი მართალია, რომ ახალი რქის ამოსვლა იწყება ადრე გაზაფხულზე. ირმის რქის ზრდა მიმდინარეობს საკმაო სისწრაფით და ივლისის შუა რიცხვებში სრულ ზრდას ამთაერებს. ამგვარად რქის სრულ ზრდას სკირდება დაახლოვებით 125—145 დღემდე. პირველ ხანებში



რქები რბილია, შეიცავს სისხლძარღვებს და დაფარულებას მოკლე ბალნიანი ნაზი კანით. ეს უკანასკნელი რქები მოძრობას იწყებს ივლისის დამლევიდან და მთლიანად სცილდება აგვისტოს შუა რიცხვებში. მაგრამ ზოგჯერ რქიდან კანის აძრობა რამდენიმედ ჭიანურდება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება, ხოლო იშვიათად კი სექტემბრის შუა რიცხვებამდე. რქის ზრდის დაგვიანება დამოკიდებულია ცხოველის ჯანმრთელობაზე: ჯანმრთელს უფრო ადრე უმთავრდება ზრდა, ხოლო ავალმყოფებს და ხანში შესულებს რამდენიმედ მოგვიანებით.

მოზარდ ირემს პირველიდ რქა ამოსდის 9—10 თვის ასაკში. პირველ წელს მისი რქა წარმოადგენს მცირე ზომის ღეროს, რომლის საბოლოო სიგრძე 30—40 სმ-დე აღწევს. ასეთ რქებს განაშროება არა აქვს. დატოტიანებული რქა ირემს ამოსდის 20—22 თვის ასაკში.

საყურადღებოა, რომ რქებჩამოცვივნილი და ახლად რქებ ამოსული ირემი ჩვეულებრივ წყნარი და თვითიერია. ამ ხანში იგი თავს იცავს ფეხებით, რქებით რაინებზე შეხებას ერიდება.

აქვე საჭიროდ შიმიჩნია აღვნიშნო ერთი საყურადღებო მოვლენა თბილისის ზოოპარკის პირობებიდან. ერთ ირემთავანს მაისის დამლევს საკმაოდ მოზრდილი რქები ჰქონდა, თუმცა ზრდის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. ერთ დილით ამ ირემში იწყო რქების დარტყმა თავის სადგომის ღობეზე (რომელიც ალავ-ალავ რყინის იყო) ისეთი სიძლიერით, რომ რქების წევრები და ზოგიერთი შტოები მოემტვრა. ეს ირემი მოელი დღე ასე მოუსვენრობდა და შედეგად ერთი რქა ნახევრად მოიტეხა, მეორეზე მოემტვრა შტოები. ასე განაგრძობდა იგი მეტრე დღესაც. მის დასამშვიდებლად მიღებულმა ყველა ზომამ შედეგი არ გამოილო. მესამე დღეს ირემი მოკვდა. მას ორივე რქის დაახლოებით ორი მესამედი მოტეხილი ჰქონდა და ქვედა შტოებიც დამტვრეული იყო სანახევროდ. განკვეთის შედეგად გამოიჩვა, რომ ამ

ირემს ტეინში მცირე ზომის სიმსივნე ჰქონდა, რამაც მისი მოუსვენრობა და შემდეგ სიკვდილი გამოიწვია.

**შეფერადება.** კავკასიის ირმის სხეულის შეფერადება მერყეობს სეზონურად და ასაკის მიხედვით. მცირეოდნად განსხვავებულია ირმის შეფერადება სქესისა და გეოგრაფიული გავრცელების მიხედვითაც. ზამთრობით ირმის ზურგის მხარე მუქი-მორუხო მურაა. კისრიდან კუდამდე, თხემის ხაზზე გასდევს მუქი მურა ფერის ზოლი. გვერდები რამდენიმედ უფრო ბაცია, ხოლო შუცლის მხარე მოთეთრო-მორუხო-მურაა. ბოქვნი და იღლები მოთეთრო-რუხია, ბარძაყების ზედა მხარეზე ემჩნევა საკმაოდ მოზრდილი მოთეთრო ხალი, რასაც „სარკე“-ს უწოდებენ. იგი, განსაკუთრებით ქვედა მხრიდან, მუქი-მოქარცისფრო-მურა ვარაყითაა შებოლებული. ნიკაპი მოთეთროა. ფეხები გარეგან ზედაპირზე, მუქი მორუხო-მურაა, ხოლო შიგნიდან - უფრო ბაცია. ყურის შიგნით ზედაპირზე ბალანი თეთრი ფერისაა, ხოლო გარეგან ზედაპირზე - მორუხო-მურა.

ირმის ზაფხულის შეფერადება აღნიშნულისაგან რამდენიმედ განსხვავებულია. ამ დროს ზურგის მხარეს მორუხო-მურა ფერზე მუქი ქარცისფერი გადაპყრავს. გაზაფხულის დამლევსა და ზაფხულის პირველ ნახევარში ე. ი. გაზაფხულის განვურის დამლევს, ირემს, ზურგზე, გვერდებზე და ბარკლებზე ემჩნევა მეტად მკრთალი ხალები. თუმცა ზოგ ფორმას, ზოგჯერ ასეთი ხალიანობა არ მოუჩანს. თავი დაფარულია მურა-მორუხო ბალნით, ლოყებზე იგი უფრო ბაცი ქარცისფერ-მორუხოა. ნიკაპი ჭუპუისფერ-თეთრია, ზოგჯერ მოყვითალო ან მოქარცისფერო ელფერი გადაპყრავს. პირის კიდეები მოშაო-მურა, ან მუქი მურა ფერისაა. ყური გარედან დაფარულია მოშაო-მურა, ხოლო შიგნიდან მოთეთრო ან თეთრი ფერის ბალნით. ფეხები ქვედა ნახევარში მუქი მურა ფერისაა, ხოლო გვერდებიდან და უკანიდან (ჭინა კიდურები) მოქარცისფრო-რუხია.

ირმის ნუკრის სხეული დაფარულია მოთეთრო-მოყვითალო ფერის ხალებით, რაც მას რჩება პირველი შვიდი-რვა

თვის განმავლობაში, რის შემდევ სხეული იფარება თითქმის ერთფეროვანი ბალნით.

დასასრულს უნდა აელნიშნოთ, რომ ირმის შექტრადება ზოგჯერ ცვალებადი და განსხვავებულია ინდივიდების მიხედვითაც.

ბალნიანი საფარველი, ირმის ბალნიანი საფარველი იცელება ცხოველის ასაკისა და სეზონის მიხედვით. მოზარდი ფორმის სხეული დაფარულია ნაზი ბალნით, რომელიც შემდეგში თანდათანობით იცვლება და უხეშდება. ზრდასრული ირმის ზამთრის ბალნიანი საფარველი შედგება ნაზი თივთიკისაგან და გრძელი და უხეში ფაცახისაგან. ყველაზე გრძელია ბალნი ზურგის მხარეზე და ბარძაყებზე. ხარ-ირმის კისერი დაფარულია გრძელი და ხშირი ფაცახით, რომელიც ფაფარივით აქვს გადაშლილი და ამის გამო ცხოველს რამდენიმედ მედიდურება ეძლევა. უგრძესი ბალანი აღწევს 70—80 მმ-დე, უფრო მოკლეა გვერდებზე, დაახლოვებით 50—70 მმ; „სარკე“-ზე ცალკეული ბალნის სიგრძე 65—75 მმ-დეა. ბალანი მოკლეა ბოკვენისა და ილლის მიდამოში. მოკლეა აგრეთვე თავზე-დაც, სადაც ბალნის ცალკეული ლეროს სიგრძე 35—40 მმ-დეა. უფრო ნაკლები სიგრძისაა კიდურებზე. ზაფხულობით, როდესაც ცხოველი განგურის შედევად კარგავს თივთიკს, იგი იფარება მხოლოდ ფაცახით, რომელიც ყველაზე მეტ სიგრძეს აღწევს ისევ ზურგსა და „სარკეზე“, სადაც ცალკეული ბალნის სიგრძე 40—55 მმ-დეა. ყველაზე მოკლე ბალანი ვითარდება კიდურებზე (20—25 მმ-ის სიგრძით).

სხეულის ზომები. ზრდასრული ირმის სხეულის ზომები განსხვავდება არა მარტო სქესის მიხედვით, არამედ გეოგრაფიული გავრცელების მიხედვითაც. დინიკის (1910) გადმოცემით ყველაზე დიდი ზომის კავკასიის ირემი გვხვდება ჩრდილო კავკასიაში. საქართველოში მცხოვრები ინდივიდები, ამ უკანასკნელთან შედარებით, მცირე ზომებით ხასიათდებიან. საქართველოში გავრცელებული ზრდასრული ხარისხის სხეულის საერთო სიგრძე მერყეობს 180—200 სმ-დე, ხოლო ფურისმისა 140—160 სმ-დე. პირველის სიმაღლე მინ-

დაოში 120—150 სმ-დეა, ხოლო ფურირმისა—100—115 სმ-დეა. დინიკის (1910) გადმოცემით ჩრდილო კავკასიის ტრიტონის სრული ხარირმის სხეულის საერთო სიგრძე 226—231 სმ-დეა.

სიმაღლე მინდაოში 155—157 სმ-დე, ხოლო ფურირმის სხეულის საერთო სიგრძე 198-სმ-დე აქვს აღნიშნული (როგორც ჩანს კუდიანათ ერთად). და სიმაღლე მინდაოში 111 სმ.

ამგვარად გამომდინარე ზემოალნიშნულიდან შეიძლება აღნიშნოთ ზოგიერთი საშუალო ზომები საქართველოში გაფრცელებული ირმებისათვის.

ხარირმის სხეულის საერთო სიგრძე 230 სმ-დეა, სიმაღლე მინდაოში 132 სმ-დე ალწევს, სიმაღლე მენჯთან 128 სმ-დეა, კუდის სიგრძე 12 სმ-ია.

რაც შეეხება წონას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფარგლებში გაერცელებული ირმის წონა ალწევს 200—280 კილოგრამამდე. მაგალითად, 1949 წლის ნოემბერში, მცხეთასთან მოპოვებული ერთი, დაახლოებით 10 წლის, ხარირმის წონა 229 კილოგრამს აღწევდა. დინიკი (1910) აგვიწერს ერთეულებს, რომელთა წონა შიგნეულობის გარდა ალწევდა 250—352 კილოგრამამდე. ვფიქრობთ ასეთი გიგანტები, თუნდაც წარსულშიც რომ ყოფილიყვნენ, ამგამად საქართველოს ფარგლებში აღარ გვინდობდნენ. თუმცა ექვთიმიშვილი (1946) აღნიშნავს, რომ ამ ცხოველის ცოცხალი წონა 295 კილოგრამს აღწევს. რაც რამდენიმედ შემოწმებას მოითხოვს. მით უმეტეს ავტორი არ მოგვითხრობს, თუ ხად მოიპოვა ასეთი წონის ირემი. ეს ცნობა რამდენიმედ უახლოედება დასავლეთ ევროპის კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus* L.) წონას, რაც ბრემის (1904) მიხედვით 298 კილოგრ. ყველაზე მეტ წონას ირემი ალწევს შემოდგომის დასაწყისში, შემდეგ იგი იწყებს გახდომას და გაზაფხულის პირზე ყველაზე უფრო გამხდარი და გაშასადამე მსუბუქიცაა. ფურირმის წონა 140—180 კილოგრამამდე ალწევს.

საქართველოს ფარგლებში კავკასიის ირმის გავრცელების არეალი, წარსულ წლებთან შედარებით, მეტად შემცირებულია. რომ მხედველობაში არ მიეღოთ მონაცემები, მე-18 საუკუნის ცნობილი ისტორიული და გეოგრაფიული ვახუშტია (1941), რომელიც საქართველოში ირმის გავრცელებას მრავალ ადგილას აღნიშნავს, ჯერ კიდევ ამ 30—40 წლის წინათაც ფართო იყო ამ ცხოველის გეოგრაფიული გავრცელების არეალი, მაგრამ ირემზე უკეგმო ნადირობამ გამოიწვია მრავალ ადგილას მისი ამოწყვეტა და იქაც კი, სადაც იგი გადარჩა, უკანასკნელ დრომდე მეტად განსაზღვრული რაოდენობით-ლა მოიპოვებოდა. მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების მიერ ბუნებრივ პირობებში მისი დაცვის საქმიანობისა და მოშენებისათვის დიდი ყურადღების მიქვევის შედეგად, ამეამად მრავალ ადგილას, მაგალითად, ლაგოდეხის, ბორჯომის რაიონები, აფხაზეთი, ზედაზენი, გარდაბანი და სხვ., ჩვენი ფაუნის ამ ძეირთასი წარმომადგენლის საერთო რაოდენობამ საგრძნობლად იჩიტა.

დინიეს (1910) გადმოცემით ირემი საქართველოს ფარგლებში საქმაოდ მრავლად და ბევრ ადგილას ყოფილა გავრცელებული.

ლაგოდეხის რაიონში ირემი შედარებით დიდი რაოდენობით მოიპოვება. როგორც ჩანს 1942 წლის შემოდგომის აღრიცხვითან აქ ირმების რაოდენობა 200 სულამდე აღწევს, რომელთა შორისაც მეტი წილი ფურებია. აღნიშნულ რაიონში ირემი მრავლად გვხედება ჭიაურის ტყეში, სადაც ჯერ კიდევ 1910—1915 წლებში იგი ისეთი დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული, რომ ზოგჯერ შარაგზის პირადაც გამოდიოდა. ამგვარი ფაქტების წინაშე რამდენჯერმე ყოფილა ამ წერილის ავტორიც. ამეამად ჭიაურის ტყეში ბინადრობს ორი ჯოგი, რომელთაგან, თითოეულში დაახლოვებით 30—50 სულია გაერთიანებული. ეს ჯგუფები აღაზნის სანაპიროებში ატესილ მუხნარ ტყეებში ცხოვრობენ.



ირემი მრავლად გვხვდება ლაგოდეხის სახელწიფიცთ ნაკრძალში, სადაც მარკოვის (1938). აზრით მოსახლეობური მომსახურება ჯოგი 10—20 სულისაგან შემდგარი. 1942 წლის შემოდგომაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აღრიცხვიდან გამოირკვა, რომ აღნიშნულ ნაკრძალში ბინადრობს ირმების რამოდენიმე ჯვუფი; საერთო რაოდენობით 40—60 სული. ექვთიმიშვილის (1946) გადმოცემით ამ ნაკრძალში 91 სული ირემი ბინადრობს. ამგვარად, როგორც ეჭვდავთ, ლაგოდეხის ნაკრძალში, შექმნილი ხელშემწყობი პირობების შედეგად, ირმის სულადობა 1938 წელთან შედარებით საგრძნობლად გადიდებულია.

ლაგოდეხის ნაკრძალის ფარგლებში ირემი ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება რაჭის ხევსა და სააგურეს ხევის ტყეებში.

ირემი ყვარლის რაიონში მოიპოვება ენისელისა და შილდის ტყეებში და აგრეთვე საბუეს მახლობლად (ჯანაშვილი, 1943). ექვთიმიშვილი (1946) აღასტურებს რა ამ მონაცემებს, თავის მხრივ აღნიშნავს ირმის არსებობას ახალსოფლის ტყეებშიც.

თელავის რაიონში ირემი გამონაკლისის სახით გადადის ყვარლის რაიონიდან. 1937 წელს თელავიდან თბილისის ზოოპარკში ჩამოყანილ იქნა ერთი წლის ირემი, რომელიც, მონადირეების გადმოცემით, დაკერილი იყო ალაზნის სანაპირო ჭალაში.

ჩინკვიშვილის (1941) თქმით ირემი მრავლად მოიპოვება პირაქეთ ხევსურეთში, სადაც ავტორს ნახული აქვს ირმის რქები მონადირეთა ოჯახებში, ხოლო კვალი—ბუნებაში.

ირემი, მაკალათიას (1934) დასტურით მცირე რაოდენობით მოიპოვება მთიულეთში, სახელდობრ დოლას ქედსა და ჭართალში. აქედან, როგორც ჩანს, ეს ცხოველი კრიცილდება ფშავეში, სადაც იგი აგრეთვე მცირე რაოდენობით ბინადრობს.

ირემი გვხვდება არაგვის ხეობაში. ჯერ კიდევ დინიკის (1910) გადმოცემით იგი ხშირად მოიპოვებოდა ინანურთან და უფრო ნაკლებად—კი ფასანაურთან. ეხლაც ამ აღგი-

ლების შესახებ იკივე ითქმის (ჯანაშვილი, 1943). არაგვის ხეობაში, ს. ნატაძრარის ჩრდილოეთი მდებარე მოიპოვება ირმის ჯოვი 8—10 სულისაგან შემდგარი.

ირემი ბინადრობს ავჭრლის, ზედაზნისა და ცხვარიქამიას მიდამოების ტყეებში, სადაც მოსახლეობს რამდენიმე ჯოვი, რომელთაგან თითოეულში ითვლიან 5—8 სულს. ასევე მცირე რაოდენობით მოიპოვება ირემი ჰოპორტისა და დავითის ტყეებში (თბილისის რაიონი).

ირმის რამდენიმე ეგზემპლარი ბინადრობს ს. მუხრანვანის (საგარეჯოს რაიონი) მახლობელ ტყეში.

ვახუშტი, ოსეთის ალწერასას აღნიშნავს ამ მხარეში ირმის არსებობას. ამერამად ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ირემი სამხრეთ ოსეთის ფარგლებში მცირე რაოდენობით-ლა გვხვდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ, ზოგიერთი მონადირეობის მცოდნის გადმოცემით, ირემი მოიპოვება სტალინიდის, ჯავისა და ზნაურის მიდამოების ტყეებში. აქეთ დაუმატებთ, რომ 1938 წელს თბილისის ზოოპარკში სტალინიდიდან ჩამოყავანილი იყო ორი 8—10 წლის ასაკის ხარისხმი, რომლებიც დაეჭირათ სტალინიდის მახლობელ ტყეში.

გორის რაიონში, ს. მეჯვრისხევთან 1937 წელს მოპოვებულია ერთი ხარისხმი დაახლოებით 9—10 წლისა, რომელიც ჩვენს მიერ თბილისის ზოოპარკში იქნა გადმოყვანილი. საერთოდ-კი ამ რაიონში ეს ცხოველი არა ცხოვრობს.

სურამის ქედის მთელ მანძილზე ირემი მხოლოდ აქა-იქ გვხვდება და ისიც თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით. იშვიათად ამ ცხოველს ვხვდებით რაჭის ქედზედაც.

ზეკარის გადასავალთან 5—8 ეგზემპლარიანი ირმის რამდენიმე ჯოვი გვხვდება. თუ რა დიდი რაოდენობით ბინადრობდნენ აქ ირმები მოშობას ის ფაქტიც, რომ, ი. ჩხილევიშვილის სიტყვიერი გადმოცემით, ამ ადგილებში 1924 წლის ზამთრის ერთი დღის განმავლობაში მწყემსებმა 7 თუ 8 ირემი მოპეს.

ირემი მრავლად მოიპოვება ბორჯომის ხეობაში, განკუთხულ  
თრებით — კი ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ფრთხოების  
საყურადღებოა, რომ აქ ირემი წარსულშიაც მრავალიცხოვ-  
ნად ბინადრობდა. ჯერ კიდევ დინიკის (1910) გადმოცემით  
აქ მოიპოვებოდა 400-მდე ირემი. შემდეგში, უწესრიგო ნა-  
დირობის შედეგად, ამ მიღამოებში ირემის საერთო რაო-  
დენობამ საგრძნობლად იკლო და მხოლოდ მას შემდეგ,  
რაც შემოლებული იქნა ირემის დასაცავად განსაკუთრებული  
ნაკრძალი, ამ ცხოველმა კვლავ იწყო მომრავლება და უკვე  
13 წლის წინ, მარკოვის (1937) ცნობით ბორჯომის სახელ-  
მწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ირემის  
ჯოგები, რომლებშიც გაერთიანებული იყო 200—250 სულამ-  
დე. ხოლო შემდეგში, 1942 წლის შემოდგომის აღრიცხვის  
მიხედვით, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ფართობზე  
უკვე 600—800 სულამდე ირემი ითვლებოდა (ჯანაშვილი, 1943).  
ბოლოს, ექვთიმიშვილის (1946) გამოთვლით ბორჯომის ნაკრ-  
ძალში 1946 წელს 1400-მდე ირემი ბინადრობს. ეს უკანასკ-  
ნელი ცნობა რამდენიმედ გადაჭარბებულიც რომ იყოს, მაინც  
იმ დასკვნის გამოტანა შევეძლია, რომ ბორჯომის სახელმწი-  
ფო ნაკრძალში, შექმნილი ხელშემწყობი პირობების გამო,  
ირემის სულადობის საერთო რაოდენობა თანდათანობით  
მატულობს. ექვთიმიშვილის (1946) გადმოცემით ბორჯომის  
ნაკრძალის ფართობზე „ირემი გაერცელებულია შემდეგ  
ადგილებში: მთა რკინის-ჯვარის აღმოსავლეთ ფერდობზე,  
ზორეთში და სოჭიანში (ყველაზე მეტი), ბანის-ხევის, ლიკა-  
ანის-ხევის, ჩითას ხევის და ქვაბის ხევის შუა წელისა და მათი  
სათავეების ლელების ძნელად მისაღომ ადგილებში“.

ვახუშტის (1941)<sup>7</sup> დასტურით, ლიკანში ირემი მრავლად  
ყოფილა და უნდა ავლიანოთ, რომ ამ ადგილას ირემი  
დღესაც საკმაო რაოდენობით ბინადრობს.

აწყურის, ასპინძისა და აღიგენის რაიონების ტყიან ადგი-  
ლებში ირემი მცირე რაოდენობით მოიპოვება, აბასთუმნის  
მხარეს იგი გადადის ბორჯომის ხეობიდან.

თეორი წყაროს მიღამოში, კერძოდ ირაგის, კლოერსის  
მისადევრებში ირმები გვხვდება მცირე რაოდენობით, რა არა გამოიყენება.

ბელოვი (1924) აღნიშნავს ლოკის მთებში ირმის მოკვლის  
ფაქტებს და იქ მათი საკმაო რაოდენობით არსებობას. ამგა-  
მად ამ მიღამოებში ირემი მეტად მცირე რაოდენობით  
ბინადრობს.

გარდამნის რაიონში ირემი გვხვდება სახელმწიფო ალკვეთი-  
ლის ფარგლებში. აქ ბინადრობს ირმის ჯოგი, რომელშიც  
25—30 სულია გაერთიანებული. ვახუშტის (1941) გადმოცემით  
გარდამნში ირემი დროგამოშვებით გვხვდებოდა. იგივე შეი-  
ძლება ითქვას მტკერის სანაპიროს ზოგიერთი ჭალის შე-  
სახებაც.

მცირე რაოდენობით ბინადრობს ირემი წიფა-მოლითის  
მისადევრებში.

სვანეთში ირემი გვხვდება მცირე რაოდენობით და ისიც  
მეტად განსაზღვრულ ადგილებში, აქედან ირემი იჭრება  
ლეჩუმშიც.

აფხაზეთში ირემი მოიპოვება მხოლოდ მთავარი კავკასი-  
ონის ქედის ულრან ტყეებში, სატუნინის (1913) თქმით 30—  
40 წლის წინ აფხაზეთში ირემი საკმაოდ მრავლად მოიპოვე-  
ბოდა, რისი თქმაც დღეს არ შეიძლება. ამერამად ირემი  
დაცულია რიცას სახელმწიფო ნაკრძალში, სადაც ამ ცხოვე-  
ლების საერთო რაოდენობა 150 ეგზემპლარამდე აღწევს.

ჩხივიშვილის (1939) დასტურით კავკასიის ირემი ჯერ  
კიდევ მრავლად მოიპოვება აფხაზეთის ულრანსა და მიუვალ  
ტყეებში.

რაც შეეხება ქლუხორის რაიონს, უნდა იღინიშნოს, რომ  
აქ მრავალ ადგილას ირემი მოსპობილია ჯერ კიდევ ახლო  
ჭარსულში. როგორც ჩანს ტებერდის სახელმწიფო ნაკრძალ-  
ში ირემი სრულიად იღარ ბინადრობს, რასაც ადასტურებს  
კინაზევის (1946) ნაშრომი. ერთეულების სახით გვხვდება ამ  
რაიონში ირემი მდ. ყუბანის სანაპირო ტყეებში.

მცირე რაოდენობით მოიპოვება ირემი საირმეში, მიუხე-  
დავად იმისა, რომ აქ ოდესლაც ეს ცხოველი მრავლად მო-

დინიკის (1910) გაღმოცემით ბათუმის მიღამოებში ჩატარდა მი მცირე რაოდენობით ბინადრობს, რისი თქმის საშუალება დღეს აღარა გვაქვს. თუ იშვიათ შემთხვევაში ბათუმის რაონის ტყიან ადგილებში ირემს მაინც ვნედებით, მაშინ იგი შემთხვევით, მეზობელ, ბორჩხის მიღამოებიდან გაღმოხვევილად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს ფარგლებს გარეშე კავკასიის ირემი მოიპოვება ახერბაიჯანში, კერძოდ იგი მრავლადაა ზაქათალის ნაკრძალში, საიდანაც ვრცელდება კახი-ნუხის მიმართობით, მცირე რაოდენობით ბინადრობს ირემი ლენქორანის რაიონში; უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება ირემი სომხეთშიც, კერძოდ იგი აქ ბინადრობს ბამბაკის მთის ტყეებში. მრავლადაა ირემი ჩრდილო კავკასიის სახელმწიფო ნაკრძალში. მოიპოვება აგრეთვე ყუბანის ოლქში, ჩრდილო ასეთში და დაღისტანში. გარდა ამისა ბინადრობს ირემი მცირე აზიაში, ჩრდილო ირანში.

რაც შეეხება ირმის ვერტიკალურ გავრცელებას, უნდა ითქვას, რომ იგი მეტად მერყვეია. ეს ცხოველი კავკასიონშე — ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში ვრცელდება 3000 მეტრის სიმაღლემდე ზ. დ. ზევით. ამგვარად კავკასიის ირემი თავის ტიპურ საცხოვრებელ გარემოს — ტყეს სცილდება, ალპურ ზონაში იქრება და თოვლის ხაზამდე აღწევს. ექვთიმიშვილის (1946) დასტურით ირმის ვერტიკალური გავრცელების ზედა საზღვარი 3100 მეტრს აღწევს ზ. დ., შავრამ, სამწუხაროდ, ავტორი არ მიუთითებს იმ ადგილს, სადაც ირემი ასეთ დიდ სიმაღლეზე აღის. აფხაზეთსა და აქარაში ირემი გვხვდება ზღვის დონეზე არსებულ ტყეებშიც. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ კავკასიის ირმის ვერტიკალური გავრცელება მერყეობს ზღვის დონიდან 0 — 3100 მეტრამდე და არა 300 მეტრიდან, როგორც ეს ექვთიმიშვილი (1946) მიაჩინა. დინიკის (1910) უკიდურესი სიმაღლე, სადამდეც

ირემი ალწევს 2743 მეტრი (9000 ფუტი) მიაჩნია. ხოლო ყუბანის ოღვში ეს ცხოველი, იმავე დინიკის (1910) თქმით ხორბად ბინაღრობს, 150—180 მეტრის სიმაღლეზე ჭ. დ. შაგრამ უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება 900—1500 ფარგლებში.

### ცხოვლების ნირი

სტაციები. ირემი ტიპიური ტყის ბინაღარია. იგი ჩეეჭლებრივ ცხოვრობს უღრანსა და გაუვალ ტყეში. ტყეში არსებულ მინდვრებსა ან ახოებში გამოდის იშვიათად, უმთავრესად—კი ასეთ ადგილებს ეტანება ღამე, ხოლო დღისით თავს აფარებს უფრო მიუვალ ადგილებს. ისეთ ადგილებში სადაც მოსახლეობა მას იცავს და არა ნადირობს, აյ ხშირად ირემს დღისითაც ხედავენ არა მარტო ტყის ნაპირა ზონაში, არამედ ტყიდან დაცილებით ელევაციელაც. ასე მაგალითად, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალიდან ხშირად გამოდიოდნენ ირმები დღისით და იქრებოდნენ რა მინდვრებში საგრძნობ ზიანს აყენებდნენ ყანებსა და ბოსტნეულ ნათესებს. მსგავსივე მაგალითები ჩვენ მიერ აღნიშნულია ზემოთ ჭიაურის ტყეში ირმის გაფრცელების საკითხის განხილვისას. ტყიდან გამოსული ირემი ალპური ზონის მიმართულებითაც მიდის საძოვრად. და ზოგჯერ თოვლის ხაზამდეც—კი ალწევს. არ ერთდება ირემი ადამიანის სამოსახლოს სიახლოვესაც. ჩვენ მიერ ერთ-ერთ წერილში (1943) აღნიშნულია მაგალითები იმისა, რომ კახის რაიონში (ხაინგილი), ზოგჯერ ზამთრობით ირემი შედიოდა სოფლის განაპირა ვენახებში, სადაც რქებით იხლართებოდა, რის შედეგად მას ადვილად ჰქონდნენ. ამავე რაიონში რამდენიმეჯერ მოშემე შევიქენით იმისა, რომ ტრიალ მინდორზე ხარისუმი გარბოდა ერთი ტყიდან მეორისაკენ, რომელიც პირველიდან დაახლოვებით 7—8 კილომეტრითაა „დაცილებული. მსგავსივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი გორის რაიონში. აյ ს. შეჯვრისხევთან, რომლის მახლობლად ტყე არსაღაა, ტრიალ მინდორზე, კოლმეურნე-



თა ნათესებში შემოიკრა დაახლოვებით 9—10 წლის ხარისხში, რომელიც, დაღლილობის გამო, თავის უზარმაზარი ტექსტი, ლობეში გაიხლართა რის შედეგად კოლმეურნებმა აღვილად დაიკირეს და დაბეს. მაგრამ ყოველივე ეს ერთეული შემთხვევები გამონაკლისი მოვლენებია. ძირითადად ირემი მაინც ტყის ტიპიური ცხოველია და თავის მირითად სტაციას მხოლოდ დროებით და შემთხვევით სცილდება.

ირემს განსაკუთრებით უყვარს მთის ტყეები, რომელიც დასერილია ხეობებით, რომელშიც წყალი მოედინება, ან ტბიანი ტყე. წყალი ირმის საყვარელ სტრიქიას წარმოადგენს. ირემი წყალში ბანაობს ხშირად და დასურავს საუცხოოდ. ზოოპარკის პირობებში ჩვენ ვაკვირდებოდით ირემს, რომელიც ჩაღიოდა საგანგებოდ მოწყობილ აუზში და შიგ ხანგრძლივად ბანაობდა დაწყოლილი. ზოგჯერ ირემი ფეხზე დგება ხოლმე წყალში და წინა ფეხს მაგრად ურტყამს წყლის ზედაპირს, რის შედეგად წყლის ზეფები ესხმევა მუცელზე. განსაკუთრებით ბანაობს ზაფხულის სიცხიან დღეებში. ამ დროს ირემი ხშირად ტალახშიც წევდა, რითაც იცილებს მომაბეზრებელ მწერებს. ირემს ზამთარში უყვარს თოვლში ჩაწოლა, ზოგჯერ ზედ გორაობს და უხასუნებს კისერს.

განგური. როგორც ძუძუმწიოვრების უმრავლესობა, კავკასიის ირემი წლის განსაკულობაში განგურს ვანიცედის ორჯერ: გაზაფხულზე და შემოდგომაზე. პირველი მათგანი ხდება თვალსაჩინოდ და ინტენსიურად, ხოლო მეორე მიმღინარეობს თანდათანობით, ხანგრძლივად და შეუმჩნევლად. ირმის განგური გაზაფხულზე იწყება, ჩეულებრივ, შარტის პირველ რიცხვებიდან, ხოლო ზოგჯერ როდესაც ზამთარი თბილია — თებერვლის დამლევიდან: ამ დროს ინტენსიურად სცვივა ირემს ბალანი ტანის სხეადასხეა ადგილიდან (ვარკვეული თანამიმდევრობა არ ემჩნევა) — კისრიდან, ზურგიდან, გვერდებიდან. ზოგჯერ ბალნის მთლიანად გაცვინის შემდეგ სხეულის საკმაოდ დიდი მონაკვეთები ტიტელდება ხოლმე. ბალნიანი საფარველი სხეულიდან ისე სცვივა, რომ გამოუცდელ აღამი-



ანს იგი პარაზიტებისაგან გამოწვეული ჰელიკონია და ზოგჯერ სათანადო „მცურნალობასაც“ უჩიჩეს. ზამთრის ბალნის ამოსვლა, რომელიც შედარებით პირველთან უხეშია და ძირითადად ფაცაბისაგან შედგება. ირმის განგური გაზაფხულზე მიმდინარეობს, დაახლოებით 50—70 დღის განმავლობაში უფრო სწრაფად ამთავრებს განგურს ჯანმრთელი ექსპონატი, ხოლო გამხდარი და ავადმყოფი—უფრო გვიან. ზოგჯერ აეადმყოფ ერთეულებს ზამთრის ბალნიანი საფარველი ნაწილობრივ შეჰყვებათ ხოლმე აგვისტომდე, როდესაც პარალელურად იწყებს აღმოცენებას ახალი, ზამთრის, ბალანი. შემოდგომის განგური ნორმალურ პირობებში, ე. ი. როდესაც ცხოველი ჯანმრთელადაა, იწყება აგვისტოს მეორე ნახევრიდან, გრძელდება თანმიმდევრობით და მთავრდება ოქტომბრის დამლევისათვის. ზოგჯერ-კი განგური მთავრდება ოქტომბრის პირველ ნახევარშივე, ხოლო იშვიათად ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. მოვიყვან მაგალითს, რომელსაც ვაკეირდებოდით თბილისის ზოოპარკის პირობებში. ერთ-ერთ ხარისხში, რომელიც ცუდად იკვებებოდა (სისუსტის გამო საკვებს სკამ-და შეტად ცოტას) ზამთრის ბალნიანი საფარველი შეჰყავისლისის დამლევამდე. საყურადღებოა, რომ ამავე ირემს მეტად ცუდად განცვითარდა რქებიც.

**საკვები.** საქართველოს ფარგლებში ირემი იკვებება სულ სხევადასხევაგვარი მცუნარეულობით. მის ძირითად საკვებს ბალახი შეადგენს. ჭამს იგი აგრეთვე ფოთოლს, ხილს, ბოსტნეულს. ზოგჯერ იკრება ირემი ხორბლის, ფეტვის, ქერის, ბრინჯისა და სიმინდის ყანებში და საქმიოდ აზიანებს ხსენებულ ნათესებს. ზოგჯერ ჭამს იგი ხახვს, ვაიმრას, ხის ქერქს, ნორჩი ყლორტებს, რკოს, წიწიბოს და სხვ. ზამთრობით, როდესაც ნიაღავი თოვლით (მით უმეტეს ლრმად) იფარება, მაშინ ირემს საკვების მოპოება უძნელდება. ასეთ შემთხვევაში იგი უმეტესად ხის ნორჩი ყლორტებს კვნეტავს ფეხით ქექავს თოვლს და ქექმოდან იღებს ფოთოლს, ვაიმრას და ა. შ. ზოგჯერ, როდესაც ირემი ხის ტოტს ვერ ასწვდება

ფოთლის მოსაწყვეტად, მაშინ იგი უკანა ფეხებზე ფარა  
და ასე აღიმართება რა ვერტიკალურად ადვილად სუველება  
ხოლმე ხის მაღალ ტოტებსაც, რომლებიდანაც სწყვეტს ფო-  
თოლს, კვნეტს ნორჩ ყლორტებს, ზოგჯერ აძრობს ქრექსაც.  
ექვთიმიშვილმა (1946) საკმაოდ დაწვრილებით შეისწავლა  
კაციასის ირმის კვების რეემი ბორჯომის ნაკრძალის პირო-  
ბებში და მანვე დაადგინა 40-ზე მეტი სახეობის მცენარე,  
რომელნიც ირმის ძირითად საკვებს შეადგენენ.

გამრავლება. ერთ-ერთს ყველაზე საინტერესო მოვლენა-  
თაგანს ირმის ცხოვრებაში მისი გამრავლების საკითხი შეა-  
დგენს. გამრავლების პერიოდი ჩვეულებრივ იწყება ირმის  
ატეხილობით, რასაც თან სდევს ხარ-ირმის „ყვირილი“,  
როისთვისაც ამ პერიოდს ხშირად „ყვირილობა“-ს უწოდებენ.  
კაციასის ირმის ატეხილობის პერიოდის ხანგრძლივობის  
შესახებ ავტორთა შორის ერთგვარ აზრთა სხვადასხვაობას  
აქვს ადგილი. დინიქის (1910) გადმიოცემით კაციასის ირმის  
ატეხილობა, ანუ ყვირილობა იწყება „სექტემბრის პირველ  
რიცხვებიდან, ზოგჯერ 25 აგვისტოდანაც, ხოლო ზოგიერთ  
წლებში—მის შუა რიცხვებიდანაც“.<sup>1)</sup> ერთხელ დინიქის (1910)  
თითონ მოუსმენია ირმის ყვირილი 27 აგვისტოს. მაგრამ  
იგივე პეტორი იქვე დასძენს, რომ „აგზნებული მდგომარეო-  
ბა ამ ცხოვრებს ემნინევათ გაცილებით უფრო ადრე,“ ალ-  
ბათ, აგვისტოს შუა რიცხვებზე ადრე (შეად. ზემოთქმულს).  
დაახლოებით ამასვე იმეორებს მარკოვიც (1938), რომელიც  
მოგვითხრობს, რომ ირმების ატეხილობა, ანუ ყვირილობა  
იწყება „სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ზოგჯერ, როგორც,  
მაგალითად, ეს იყო 1931 წელს, უფრო ადრეც (10—15 სექ-  
ტემბერს)“. ექვთიმიშვილის (1946) თქმით „ბორჯომის  
ნაკრძალის პირობებში ყვირილობა იწყება სექტემბრის პირ-  
ველ რიცხვებში (7—12)“. ამგვარად ზემოთქმულიდან ნათლად  
ვხედავთ, რომ მარკოვიც (1938) მიერ მოწოდებული ყვირი-

<sup>1)</sup> დინიქის მიერ მოცემული თვის რიცხვები ყოველთვის დელი სტი-  
ლითაა ნაგულისხმევი.



ლობის ვადები, რომლებიც რამდენიმედ დაშორებულია დღიურების (1910) მონაცემებისაგან, ექვთიმიშვილს (1946), პირა-კონკრეტულად დაკვირვების საფუძველზე, ერთგვარად დაუზუსტებია.

თბილისის ზოოპარკის პირობებში ჩვენ მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად დავადგინეთ კავკასიის ორმის ატებილობის (ყვირილობის) დასაწყისის პერიოდად აგვისტოს მეორე დეკადის დასაწყისი (10—12 აგვისტო), ხოლო ეს პერიოდი აღნიშნული ზოოპარკის პირობებში არ დაწყებულა 1—2 სექტემბერზე გვიან. ამგვარად ჩვენი მონაცემები ამ მიმართ რამდენიმედ განსხვავებულია ზემოაღნიშნულ მკვლევართა ცნობებისაგან. რაც შეეხება ყვირილობის ხანგრძლიობას, ამის შესახებაც შეიძლება იგივე ითქვას, რომ ამ მხრივ ავტორთა შორის მეტად განხვავებული მოსაზრებანია. დინიკის (1910) გადმოცემით ორმის ყვირილობა „გრძელდება ოქტომბრამდე, ხოლო გამონაკლისის სახით ნოემბერშიც“. საყურადღებოა, რომ ამ ცნობების უმეტესი ნაწილი აქვს აგებული აღნიშნულ ავტორს სხვა პირთა გადმონაცემის საფუძველზე და არა პირადი დაკვირვების შედეგებზე. მარკოვის (1937, 1938) თქმით ორმის ყვირილობა გრძელდება ერთ თვემდე და ოქტომბრის 20 რიცხვში მთავრდება. როვორც ვხედავთ ეს უკანასკნელი მკლევარი ორმის ყვირილობის პერიოდის ხანგრძლიობას უფრო ხანმოკლედ სთვლის, ფიდრე დინიკი (1910). ექვთიმიშვილის (1946) ცნობით დირმის ყვირილობა ბორჯომის ნაკრძალის ფარგლებში გრძელდება 50—60 დღემდე და მთავრდება 15 ნოემბერს“, ასც რამდენიმედ არ ემთხვევა ამავე ავტორის მიერვე მოცუმულ ყვირილობის დასაწყის ვადებს. სინამდვილეში ამ ავტორის მონაცემების (ე. ი. ყვირილობის დასაწყისის და დამთავრების ვადების) მიხედვით ორმის ყვირილობა უნდა გრძელდებოდეს 65—70 დღემდე და არა 50—60 დღე, როგორც ამას ექვთიმიშვილი გადმოვცემს.

ჩვენი დაკვირვებით თბილისის ზოოპარკის ექსპონატების ყვირილობა გრძელდება შემდეგი წლის თებერვლის დამლევამდე, ხოლო ზოგჯერ კი მარტის პირველი მესამედის დამ-

ლევამდეც-კი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1931 და 1937 წლებში. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ კავკასიის ტერიტორია განსაკუთრებით ინტენსიური ატეხილობა — „ყვირილი“ — ეჩ-ნევა სექტემბრის მეორე ნახევრიდან დეკემბრის მეორე დეკადის დამლევამდე, ხოლო სექტემბრის პირველი ნახევრის დამლევამდე და დეკემბრის მეორე დეკადის შემდეგ ირმის ყვირილი უფრო ნაკლებ ინტენსიურია. ამგვარად ჩვენი დაკვირვებით კავკასიის ირმის ატეხილობის პერიოდი 6,5—7 თვემდე გრძელდება.



ირმის წუქრი

ირმის ახალი თაობა იშვება შის-ივნისში, ხოლო ზოგჯერ უფრო გვიანაც, კერძოდ ოქტომბრის პირველ დეკადაში, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისის ზოოპარკში (1942). კავკასიის ირმის მაკეობის ხანგრძლივობა 7,5 თვე მიგვაჩნია (ჯანაშეილი, 1944). თუმცა ზოგ ავტორს-კი (მაგალითად, ნაუმოვი და ლავროვი, 1941) ამავე სახეობის ირმის მაკე-

შის ხანგრძლიობა 8,5—9 თვეებდე მიაჩნია, რასაც ეყრდნობა  
აგრეთვე ექვთიმიშვილიც (1946).

ირემიერთ ხბოს (ანუ ნუკრს) შობს, რომლის მუქი მურა-მოქა-  
რცისტერო კანი დაფარულია მოთეთრო-მოყვითალო ხალებით,  
რომლებიც მეაფიოდ მოჩანს პირველი 7—8 თვის განმავლობაში,  
რის შემდეგ ისინი ითქვითება და ცხოველი იფარება ერთ-  
ფეროვანი ბალნით. ფურა-ირემი თავის ხბოს რძით ჰქვებავს  
4,5—5,5 თვის განმავლობაში. დაახლოებით 10—15 დღის  
ასაკში ირმის ნუკრი იწყებს უხეშ საკვების—ბალახის, ფო-  
თლების, ნაზი ყლორტების ვამას. ირმის ნუკრი სწრაფად  
იზრდება, სქესობრივ სიმწიფეს ფურა-ირემი აღწევს 2,5 წლის,  
ხოლო ხარირემი—2 წლის ასაკში. 6 წლის ხარირემი  
ამთავრებს სრულ ზრდას. ამ ხანში მას ამოსდის საესებით  
სრულყოფილი რქები და სხეულის ნაწილების ზრდაც  
მთავრდება.

### ეკონომიკური მიზანები

კავკასიის ირემი ჩვენი ტყეებისა და ჩვენი ფაუნის ძვირფასი  
სანალირო სარეწაო ობიექტია. იმის გამო, რომ მისი საერთო  
რაოდენობა საქართველოში მცირეა, ამიტომ მასზე ნადირობა  
ჭველგან და ყოველთვის აკრძალულია. ირმის გამოიყენება—  
მაღალხარისხოვანი ხორცი, ტყავი, რომლისგანაც ამზადებენ  
ზამშს (თუმცა დაბალი ხარისხისას), მისი ბალნისგან კარგი  
ლირსების უნაგირის ბალიშებს ჰქვიავენ, რქებიდან ამზადე-  
ბენ დანისა და ყავარჯინის ტარებს. ზოგ ადგილას ირემი სა-  
ტყეო მეურნეობასა და მინდვრის ნათესობას ერთგვარ ზიან-  
საც აყენებს, რაც არცაა ესოდენ შესამჩნევი. ჩხივევიშვილი  
(1941) მიუთითებს „იმ ზიანზე, რომელსაც ირემი აყენებს  
ტყეს. ეპვს გარეშეა, რომ ის ღრმა და სუსხიან ზამთრის  
დროს იკვებება ახალგაზრდა ტოტებით და აგრეთვე ახალ-  
გაზრდა ნარგავებით. ზიანს აყენებს აგრეთვე იმით, რომ  
როდესაც რქებიდან იცილებს ტყავს, ის ეხახუნება ხეებს.  
და აზიანებს მათ ქერქს“. მაგრამ იგივე ავტორი განაგრძობს,

რომ „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „მთელ ამიერკავკასიაში ირმების რიცხვი უმნიშვნელოა, მაშინ ზიანის რაოდენობაც უმნიშვნელოა“.

მაგრამ, ჩვენი აზრით, რაგინდ დიდი ზიანიც არ უნდა მიაყენოს ირემმა ჩვენ სახალხო მეურნეობას, იგი მაინც დარჩება ჩვენი ფაუნის ძეირუას ობიექტად და ამიტომ საჭიროა შემდეგშიც დავიცვათ ეს ცხოველი ბუნებრივ პირობებში ისევე, როგორც მას დღეს ვიცავთ.

---



### მისი თაყვანი და მისი გამოცემა

1. М. Белов Охота по зверю в Локкских лесах Борчалинского уезда. Спорт и охота в Закавказье №1-2, Тифлис, 1924.
2. Н. Я. Бобринский, Б. А. Кузнецов, А. П. Кузякин, Определитель млекопитающих СССР, Москва, 1944.
3. А. Брем, Жизнь животных, т. V, Млекопитающие, Москва, 1941.
4. Н. Я. Динник, Звери Кавказа. т. 1, Тифлис, 1910.
5. Н. Я. Динник, Кавказский олень, Материалы к познанию фауны и флоры России, отд. зоолог., в. IV, 1904.
6. А. А. Калиновский, Очерк Кавказской фауны и Кавказских охот, Тифлис, 1901.
7. В. Князев, Тебердинский государственный заповедник, Тбилиси, 1946.
8. Е. Л. Марков, Боржомский охотничий заповедник. Заповедники и памятники природы Грузинской ССР, вып. I, Тбилиси, 1937.
9. Е. Л. Марков. Охотничье-промышленные животные Лагодехского заповедника, Тбилиси, 1938.
10. Е. Л. Марков, Охотничье хозяйство Закавказья, Тифлис, 1934.
11. Е. Л. Марков. Олений рев, მანაფიშვილი, № 2, თბილისი, 1937
12. С. Н. Наумов, Н. П. Лавров, Основы биологии промысловых зверей СССР, Москва, 1941.
13. К. А. Сатунин, Охотничьи и промысловые звери России; Премия журн. „Природа и охота“ 1910<sup>н</sup>.
14. И. Д. Чхиквишвили, К фауне млекопитающих и птиц Абхазии. Материалы к Фауне Абхазии, Тбилиси, 1939.
15. ზ. ვევზოვის გადასის იური ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალები, თბილისი, 1946.

16. ე ა ხ უ შ ტ ი, ა ლ წ ე რ ა ს ა მ ე ფ ი ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა (ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი ს), თ ბ ი ლ ი ს ი, 1941.
  17. ი. დ. ჩ ი ნ ი კ ვ ი შ ვ ი ღ ი, მ ა ს ა ლ ე ბ ი შ ე ს ტ რ ე თ ი ს ტ ა ტ რ ი ს ს ტ ე რ ა ვ ლ ი ს ა ს ტ ე ბ ი ს. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს მ უ ს ე უ მ ი ს მ ი ა მ ბ ე კ, ტ. XII, პ, 1941.
  18. 6. გ. ღ ა მ ბ ი ა რ ა შ ვ ი ღ ი, ლ ა გ ი ღ ე ნ ი ს ნ ა კ რ ძ ა ლ ი (ფ ა უ ნ ა), ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ს რ ბ უ ნ ე ბ ი ს რ ე გ ლ ე ბ ი დ ა ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი. გ ა ნ, 1, თ ბ ი ლ ი ს ი, 1938.
  19. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, თ ე ლ ა ვ ი ს რ ა ი ღ ი ს ს ა რ ე წ ა თ ძ ე რ უ მ წ ი ღ ი რ ე ბ ი დ ა მ ა თ ი მ ი ნ ი შ ე წ ე ნ ე ლ ი მ ა ს ი ს ს ა ხ ა ლ ხ ი შ ე უ რ ი ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, თ ე ლ ა ვ ი ს ს ა მ ა ს წ ა უ ლ ე ბ ლ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს შ რ ო მ ე ბ ი, ტ. I, 1947.
  20. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, მ ა ს ა ლ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ტ ა რ გ ლ ე ბ შ ი კ ა ვ დ ა ს ი ს ი რ მ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს შ ე ს ე უ მ ი ს მ ი ა მ ბ ე კ, ტ. XII, პ, 1943.
  21. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ც რ ვ ე ლ თ ა - ძ ი ს ა ხ ლ ე ბ ა ვ ა ხ ს ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ი ღ ი ს მ ი ნ ე დ ვ ი თ, ს ს ს რ მ ე ც ნ ი ც რ ე ბ ა თ ა კ ა ღ ე მ ი ს გ ა ნ უ ს ტ რ ი ს ს ა ხ ლ ე ბ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს შ რ ო მ ე ბ ა ტ, I, თ ბ ი ლ ი ს ი, 1947.
  22. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, მ ა ს ა ლ ე ბ ი ზ ო გ ი ღ რ თ ა ი ი რ მ ი ს ა ტ ე ბ ი ღ ლ ი მ ა ს ი ს ს ა ნ გ რ ძ ლ ი ღ ბ ი ს ს ა კ ი ღ ნ ი ს ა თ ვ ი ს, ს ს ს რ მ ე ც ნ ი. ა კ ა ღ დ მ ი ა მ ბ ე კ. ტ. VI, 5, 1944.
  23. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, მ ა ს ა ლ ე ბ ი ჩ ი ღ ი ს ნ ე ბ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს, თ ბ ი ლ ი ს ი ს ზ ი ღ პ ა რ კ ი ს შ რ ო მ ე ბ ი ტ. II, 1948 (1949).
  24. ა რ ჩ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ღ ი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ძ ე რ უ მ წ ი ღ ი რ ე ბ ი, თ ბ ი ლ ი ს ი, 1948.

რედაქტორი—ა. თალარი შეიქმნა  
კორექტორი—ი. გ. დოლიძე  
გამომშვები—ნ. პაპუკაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდაზ 31/X 50. ანაზეობის 5,5×9. ჭაღალდის ზომა  
54×84. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2. შეკ № 1076 ტირაჟი 2000  
უმ 05647.

\_\_\_\_\_ პოლიგრაფიული ინსტუტი „კომუნისტი“ ქ. თბილისი, ლენინის  
ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ \_\_\_\_\_ Тбилиси,  
ул. Ленина № 14.

9560 1 8. 50 д.

2 102/37



ДРЧ. ДЖАНДШВИЛИ

ОЛЕНЬ

(на грузинском языке)

Госиздат ГССР  
19 - Тбилиси—50

